სტივენ ვან ევერა

მეთოდების სახელმძღვანელო პოლიტიკის მეცნიერების სტუდენტებისთვის

კავკასიის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი, 2024

მეთოდების სახელმძღვანელო პოლიტიკის მეცნიერების სტუდენტებისთვის, სტივენ ვან ევერა. პირველად გამოაქვეყნა კორნელის უნივერსიტეტის გამომცემლობამ. საავტორო უფლება ©1997 ეკუთვნის კორნელის უნივერსიტეტს.

ეს გამოცემა არის თავდაპირველი გამომცემლის მიერ ავტორიზებული თარგმანი.

Guide to Methods for Students of Political Science, by Stephen Van Evera, originally published by Cornell University Press Copyright ©1997 by Cornell University.

This edition is a translation authorized by the original publisher.

მთარგმნელი და რედაქტორი: *ეკა აკობია*

ტექნიკური რედაქტორი: *მარიამ ციბაძე*

დამკაბადონებელი: *გიორგი ბაგრატიონი*

საავტორო უფლებები დაცულია

ამ გამოცემის არც ერთი ნაწილი არანაირი ფორმითა და საშუალებით, იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური, მათ შორის ფოტოპირის გადაღებითა და მაგნიტურ მოწყობილობაზე ჩაწერით, არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს საავტორო უფლებების მფლობელის წინასწარი ნებართვის გარეშე.

© კავკასიის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2024

კავკასიის უნივერსიტეტი
CAUCASUS UNIVERSITY

ISBN: 978-9941-9888-7-5

მთარგმნელისაგან

სტივენ უილიამ ვან ევერა (დაბ. 1948 წ.) მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის (MIT) პოლიტიკის მეცნიერების ემერიტუსი პროფესორია, საერთაშორისო ურთიერთობების განხრით. მისი კვლევითი ფოკუსი მოიცავს აშშ-ის საგარეო და ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკას, ომის მიზეზებსა და პრევენციას. იგი სტრუქტურული რეალიზმის განშტოების, თავდაცვითი რეალიზმის წარმომადგენელია. ამ თეორიას ეძღვნება მისი გავლენიანი წიგნი „ომის მიზეზები: ძალაუფლება და კონფლიქტის ფესვები“ (კორნელის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1999).

მისი მეორე ცნობილი ნაშრომი წინამდებარე თარგმანია – „მეთოდების სახელმძღვანელო პოლიტიკის მეცნიერების სტუდენტებისთვის“ (კორნელის უნივერსიტეტი, 1997). აღნიშნულ წიგნში ვან ევერამ თვისებრივ კვლევაში ერთეული შემთხვევის ანალიზის დანიშნულება გამოკვეთა და შეიმუშავა შემთხვევის კვლევაში პროცესის მიდევნების ტესტის გავლენიანი ტიპოლოგია, იმის მიხედვით, თუ რამდენად მძლავრად შეუძლია თითოეულ ტიპს თეორიული მოლოდინების შემოწმება თვისებრივი მეთოდით. ესენია: სათუო ტესტი (Straw-in-the-wind test); მიმანიშნებელი ტესტი (Hoop test); უტყუარი სამხილის ტესტი (Smoking-gun test) და ორმაგი დადასტურების ტესტი (Doubly-decisive test). ჰიპოთეზის შემოწმების აღნიშნული ტესტები მომავალში საფუძვლად დაედო შემთხვევის კვლევის მეთოდის განვითარებას და თანამდევ სამეცნიერო რეცენზიებს, პუბლიკაციებს, სასწავლო კურსებს თუ პროფესიულ ტრენინგებს როგორც აშშ-ში, ასევე მთელ მსოფლიოში.

ეს წიგნი უმაღლესი განათლების ყველა საფეხურის სტუდენტების მთავარ გამოწვევას, დისერტაციის წერასაც ეხება. ყველა სტუდენტს უჩნდება კითხვები: რამდენი ტიპის დისერტაცია არსებობს? რა ნაწილებისგან უნდა შედგებოდეს დისერტაცია? რა არის დიზაინი და მეთოდი? როდის ითვლება ნაშრომი კვლე-

ვით ნაშრომად? მარტო კვლევითი ნაშრომია ღირებული თუ აღწერილობითიც დასაშვებია? როგორ უნდა დავწეროთ კარგი ნაშრომი? ამ საკითხებს აშუქებს ავტორი სტუდენტისთვის მარტივად გასაგები თხრობით.

წიგნში მოცემულია მეოცე საუკუნის 2000-ან წლებამდე არსებული თვისებრივი კვლევის მეთოდების მოწინავე სახელმძღვანელოების მიმოხილვა და სინთეზი. ტექსტში მრავლადაა მოყვანილი მაგალითები საერთაშორისო პოლიტიკიდან, რაც ამ სფეროს მრავალრიცხოვანი ქართველი სტუდენტისთვის სასარგებლო დამხმარე წყარო იქნება. პუბლიკაციის წელს თუ გავითვალისწინებთ, ის უკვე კლასიკური წყაროა. თუმცა, მისი თარგმნა გამართლებულია ერთი მხრივ წიგნის ფართო აღიარებით და მეორე მხრივ ქართულ ენაზე საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის მეთოდების ლიტერატურაში არსებული ნაპრალების შევსების საჭიროებით. წიგნის გაცნობის შემდგომ, მკითხველი შეძლებს სასურველი მიმართულებით ცოდნის განახლებას და გაღრმავებას.

თარგმანში მაქსიმალურადაა შენარჩუნებული ავტორის გადმოცემის სტილი და მანერა. ნაშრომს ავტორის კომენტარებიანი ვრცელი სქოლიოები აქვს, რომელშიც არაერთი მეთოდოლოგიური ლიტერატურაა დამოწმებული, გარჩეული და კლასიფიცირებული, რაც ერთგვარი გზამკვლევის ფუნქციას ასრულებს მეოცე საუკუნის თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგიურ დებატებში გზის გასაგნებად და ამრიგად, ტექსტზე არანაკლებ საყურადღებო ინფორმაციას შეიცავს.

კავკასიის უნივერსიტეტის წინამდებარე ქართულენოვანი გამოცემის მიზანია საქართველოში თვისებრივი მეთოდით საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა და განვითარება.

ეკა აკობია

დეკანი, პროფესორი
კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლა,
კავკასიის უნივერსიტეტი
15 აპრილი, 2024 წელი

სარჩევი

შესავალი 7

1. ჰიპოთეზები, კანონები და თეორიები:
მომხმარებლის სახელმძღვანელო 14
რა არის თეორია? 14
რა არის კონკრეტული ახსნა? 22
რა არის კარგი თეორია? 25
როგორ შევქმნათ თეორიები? 31
როგორ შევამოწმოთ თეორიები? 39
ძლიერი vs. სუსტი ტესტები;
პროგნოზები და ტესტები 43
სასარგებლო მინიშნებები თეორიების
შესამოწმებლად 49
როგორ ავხსნათ კონკრეტული მოვლენები? 55
მეთოდოლოგიური მითები 59

2. რა არის შემთხვევის კვლევები?
როგორ უნდა ჩატარდეს ასეთი კვლევები? 68
შემთხვევის კვლევები პერსპექტივაში 69
თეორიების ტესტირება შემთხვევის კვლევით 76
თეორიების შექმნა შემთხვევის კვლევით 92
წინამავალი გარემოებების დადგენა
შემთხვევის კვლევებიდან 97
წინამავალი გარემოებების ტესტირება
შემთხვევის შესწავლით. 99
შემთხვევების ახსნა 101
ძლიერი vs. სუსტი ტესტები;
პროგნოზები და ტესტები 103

ურთიერთგამომრიცხავი შედეგების
ინტერპრეტაცია 104
შემთხვევის შერჩევის კრიტერიუმები 105

3. რა არის პოლიტიკის მეცნიერების დისერტაცია? 122

**4. სასარგებლო მინიშნებები პოლიტიკის
მეცნიერების დისერტაციის დასაწერად** 131
თემის შერჩევა 131
ორგანიზება 133
თქვენი დისერტაციის პროსპექტუსი 134
თქვენი შესავალი თავი 134
თქვენი დასკვნითი თავი 138
კვლევის დიზაინი და პრეზენტაცია:
კუმულაციური ცოდნის ნორმები. 139
წერა 142
სტილი 145
შემოწმება 146
თქვენი აბსტრაქი 148
ურთიერთობა სადისერტაციო კომიტეტთან. 148
ურთიერთობა საკუთარ თავთან,
ოჯახთან და მეგობრებთან 149
როგორ ვისწავლოთ მეტი დისერტაციის
წერის პროცესზე 150

5. დისერტაციის პროსპექტუსი 151

6. პროფესიული ეთიკა 154

დანართი 160

შემდგომი საკითხავი 166

ინდექსი 172

შესავალი

ეს წიგნი თავს უყრის ექვს კვლევას და აშუქებს რჩევებს მეთოდების შესახებ, რომლებიც მე გამიცია, მიმიღია ან მომისმენია გასული წლების განმავლობაში. ისინი აშუქებენ საკითხებს, რომლებსაც ეთმობა ყველაზე დიდი „საეთერო დრო“ ჩემს მიმდებარედ არსებულ აუდიტორიებსა თუ დერეფნებში გამართულ დისკუსიებში. ეს რჩევები დავწერე დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტებით მხედველობაში, თუმცა, შესაძლოა სხვებისთვისაც იყოს საინტერესო. პროცესი დაიწყო ჩემ მიერ სტუდენტებისთვის მომზადებული, აუდიტორიაში დასარიგებელი – „როგორ გავაკეთოთ...“ ტიპის დამხმარე მასალების შედგენით, რომელთა მიზანი იყო თავიდან ამერიდებინა ხშირად გამეორებული რჩევების შემდგომი გამეორება. ნებისმიერი რჩევა, რომელიც გამიცია ერთზე მეტჯერ, რაც არ უნდა მოსაწყენი ყოფილიყო იგი, მაგ.: „დაიწყეთ პარაგრაფები ცენტრალური წინადადებით,“ დაექვემდებარა ამ ტექსტში მოხვედრას. ამავდროულად, გამოვტოვე ისეთი სტანდარტული რჩევები, რომლებსაც თავად იშვიათად გავცემდი.

ამგვარად, ეს წიგნი არ არის სრულყოფილი ან ყოვლისმომცველი. მე არ მქონია მიზნად მომეცვა მეთოდოლოგიის სფერო. მაგალითად, ამ წიგნში გამოტოვებული მაქვს მნიშვნელოვანი თემა: არ მაქვს თავი დიდი n-ის კვლევის მეთოდზე.[1]

---

1 ბევრი კარგი პრაიმერი გაჩნდა დიდი n-ის მეთოდებზე, შესაბამისად, აქ გამოტოვებული თავი არ იქნება დიდი დანაკლისი. ზოგიერთს მე თავად ჩამოვთვლი I თავში, სქოლიო 32. ამ წიგნში ასევე არ არის თავები რაციონალური არჩევანის, კრიტიკული, პოსტმოდერნული და კონსტრუქტივისტული მიდგომების შესახებ. კარგი დისკუსია რაციონალური არჩევანის შესახებ გვხვდება შემდეგ ტექსტებში: Jon Elster, ed., *Rational Choice* (Oxford: Basil Blackwell, 1986) და Jeffrey Friedman, ed., The Rational Choice Controversy (New Haven: Yale University Press, 1996). კრიტიკულ მიდგომებზე დისკუსიები განხილულია: Donald P. Green and Ian Shapiro, Pathologies of Rational Choice Theory: A Critique of Application in Political Science (New Haven: Yale University Press, 1994); Raymond E. Wolfinger, „The Rational Citizen Faces Election Day or What

ექვსივე თავი საბაზისო პრაიმერებია და აშუქებენ ჩემს პირად შეხედულებებს. არც ერთი თავი არ ამტკიცებს, რომ აჯამებს სფეროში არსებულ შეხედულებებს ან მკითხველს სთავაზობს საბოლოო პასუხებს. ეს წიგნი არ დამიწერია როგორც გამოსავალი, არამედ, მინდა წავახალისო სტუდენტები, შეიმუშაონ საკუთარი მიდგომები იმ თავსატეხებზე, რომლებსაც ამ თავებში განვიხილავ.

აქ გადმოცემული შეხედულებები უფრო მეტად მეთოდოლოგიის პრაქტიკაში გამოყენებიდან გამომდინარეობენ, ვიდრე მეთოდოლოგიური კვლევებიდან. ისინი ასახავენ ჩემი, როგორც სტუდენტის, კოლეგის, ლექტორის და რედაქტორის გამოცდილებას. მე მნიშვნელოვანი საკითხები ვისწავლე მეცნიერების ფილოსოფიიდან და სოციალური მეცნიერების მეთოდებიდან, მაგრამ ჩემი დაკვირვებით, ამ ნაშრომების უმეტესობა ბუნდოვანი და უსარგებლოა. ხშირად უფრო ადვილი იყო საკუთარი პასუხების მოფიქრება, ვიდრე საჭირო აზრის გამოტანა ფილოსოფოსებისა და მეთოდოლოგების მიერ შექმნილი ნარკვევების დასტიდან, მაშინაც კი, როცა პასუხები ნარკვევებში ალბათ სადღაც არსებობდა.

ეს წიგნი ასახავს ჩემი კონცენტრაციის სფეროს, რომელიც არის საერთაშორისო ურთიერთობები და საერთაშორისო უსაფრთხოება. ის ყურადღებას ამახვილებს იმ პრობლემატიკაზე, რომელიც უფრო საერთაშორისო ურთიერთობებისა და უსაფრთხოების კვლევების ქვე-სფეროშია გამოკვეთილი. მაგა-

---

Rational Choice Theorists Don't Tell You about American Elections," in M. Kent Jennings and Thomas E. Mann, eds., Elections at Home and Abroad (Ann Arbor: University of Michigan Press, 1994), გვ. 71- 89; და Ashutosh Varshnev, Ethnic Conflict and Rational Choice: A Theoretical Engagement (Cambridge: Center for International Affairs, Harvard University, Working Paper No. 95-11, 1995). კრიტიკულ, პოსტმოდერნულ და კუნსტრუქტივისტულ მიდგომებს მიმოიხილავენ: Egon G. Guba and Yvonna S. Lincoln, "Competing Paradigms in Quantitative Research," in Norman K. Denzin and Yvonna S. Lincoln, eds., Handbook of Qualitative Research (Thousand Oaks, Calif.: Sage, 1994), გვ. 105-17; Thomas A. Schwandt, ''Constructivist, Interpretivist Approaches to Human Inquiry," in Denzin and Lineol Handbook, გვ. 118-37; და Joe L. Kincheloe and Peter L. McLaren, "Rethinking Critical Theory and Qualitative Research," in Denzin and Lincoln, Handbook, გვ. 118-57·

ლითად, შემთხვევის შესწავლის მეთოდი და საილუსტრაციოდ მოყვანილი მაგალითებიც, ძირითადად, საერთაშორისო ურთიერთობებიდან არის.

ვიმედოვნებ, რომ წიგნი გამოადგებათ პოლიტიკის მეცნიერებათა სხვა ქვე-დარგების სტუდენტებსაც, ისევე როგორც სტუდენტებს სხვა სოციალურ მეცნიერებებში. წინასწარ ვწუხვარ იმ ვიწრო ფოკუსის გამო, რომლებსაც აქ გაადაწყდებიან სხვა სფეროს მკითხველები. ეს გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ წიგნი სალექციო მასალებს ეყრდნობა.

თავი 1, „ჰიპოთეზები, კანონები და თეორიები: მომხმარებლის სახელმძღვანელო," წარმოიშვა საბაკალავრო საფეხურის კურსისთვის დასარიგებელი 3 გვერდიანი მასალიდან იმ სამეცნიერო დასკვნების შესახებ, რასაც ვასწავლიდი კალიფორნიის უნივერსიტეტში, დეივისში, მრავალი წლის წინ. ვერ ვიპოვე რა საბაზისო საკითხავი, რომელიც ახსნიდა, როგორ დავადგინოთ საკითხის ჩარჩოები, შევაფასოთ და მივუსადაგოთ თეორია, მე საკუთარი შევქმენი. მომდევნო წლებში ეს ნაწერი გაფართოვდა და აირეკლა ჩემი ღრმად პოზიტივისტური, არა ბუნდოვანი შეხედულება. ჩემთვის მიუღებელია მოსაზრება, რომ სამეცნიერო მეთოდის საბაზისო წესები „ზუსტ მეცნიერებასა" და სოციალურ მეცნიერებებს შორის უნდა განსხვავდებოდეს. მეცნიერება არის მეცნიერება. მე ასევე მჯერა, რომ მეცნიერების საბაზისო წესები, რომლებიც ხშირად გართულებულია, სინამდვილეში ცოტაა და შეიძლება ახსნილ იქნას მარტივად და შეჯამებულ იქნას მოკლედ.

თავი 1 განხილული თემები – სამეცნიერო დასკვნის საბაზისო ინსტრუმენტები და წესები – ხშირად გამოტოვებულია ხოლმე მეთოდების სახელმძღვანელოებში. სოციალური მეცნიერების ნაწერებების უმეტესობაში წინასწარ ასკვნიან, რომ მკითხველმა უკვე იცის, რა არის თეორიები, რა არის კარგი თეორიები და რა ელემენტებისგან შედგება თეორია. როგორ არიან გამოხატული თეორიები, რა ფუნდამენტური წესები უნდა დავიცვათ, როცა ვახდენთ თეორიის ტესტირებას ან მისადაგებას და ა. შ. ეს თავი ხაზს უსვამს იმ ელემენ-

ტარულ პუნქტებს, რომლებსაც სხვები გამოტოვებენ ხოლმე.

თავი 2 „რა არის შემთხვევის კვლევები? როგორ უნდა ჩატარდეს ასეთი კვლევები?“ დაიწყო როგორც სამაგისტრო საფეხურის კურსის „კონსპექტი,“ რომელიც ერთვოდა კონკრეტულ დავალებას მცირე მოცულობის შემთხვევის ანალიზის დაწერის შესახებ. ვერ ვიპოვე რა მოკლე პირველადი საკითხავი იმაზე, თუ როგორ შევადგინოთ შემთხვევის ანალიზი, დავწერე საკუთარი. მას განვიხილავდი როგორც საწყის წყაროს იმ სტუდენტებისთვის, რომლებსაც არასდროს ჰქონიათ შეხება შემთხვევის ანალიზის მეთოდთან.

შემთხვევის ანალიზი სოციალური მეცნიერების მეთოდებს შორის „ღარიბი ბიძაშვილივით“ არის. მეთოდოლოგიის ძირითადი ლიტერატურა დიდ ყურადღებას უთმობს დიდი-n მეთოდს, ხოლო შემთხვევის მეთოდებს ხელაღებით უარყოფს.

პოლიტიკური მეცნიერების ბევრი სამაგისტრო თუ სადოქტორო პროგრამა ასწავლის დიდი n მეთოდს, როგორც ერთადერთ ტექნიკას: „მეთოდოლოგიის“ კურსები მოიცავენ დიდი n-ის მეთოდს (ან დიდი n-ის მეთოდს და რაციონალურ არჩევანს) თითქოს სხვა მეთოდი არც არსებობს. შემთხვევის ანალიზი იშვიათად ისწავლება და თითქმის არასდროს ისწავლება როგორც ინდივიდუალური კურსი. გამონაკლისებია მეთოდების კურსები, რომელსაც ასწავლიან სტივენ ვოლტი და ჯონ მირშაიმერი ჩიკაგოს უნივერსიტეტში, სკოტ სეიგანი სტენფორდში, პიტერ ლიბერმანი წიულეინში, ენდი ბენეტი ჯორჯთაუნში, ტედ ჰოპფი მიჩიგანის უნივერსიტეტში და ჯონ ოდელი სამხრეთ კალიფორნიის უნივერსიტეტში.

მე დიდი n-ის და შემთხვევის ანალიზის მეთოდებს განვიხილავ როგორც ფუნდამენტურად თანასწორ მეთოდებს. თითოეულს აქვთ თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. ხან ერთი მათგანია უფრო ძლიერი მეთოდი, ხან კი მეორე. მაშასადამე, ის დაუბალანსებელი ყურადღება, რომელსაც ეს მეთოდები იღებენ, უნდა გასწორდეს. აღსანიშნავია, რომ ამ დისბალანსის გამომწვევი მიზეზი ნაწილობრივ თავად შემთხვევის ანალიზის პრაქტიკოსების ბრალია. მათ არ დაუწერიათ მარტივი „სამზა-

რეულოს გზამკვლევი“ ახალბედებისთვის. რეცეპტების წიგნის გარეშე, რომელიც გამოკვეთს მეთოდს, გარდაუვალია მისი იგნორირება. ეს თავი დავწერე როგორც „პირველი ჩამონაჭერი,“ რომელიც გაკვალავს გზას რეცეპტების წიგნისკენ.

თავი 3 „რა არის პოლიტიკის მეცნიერების დისერტაცია?“ ასახავს ჩემს შეხედულებას იმის შესახებ, რომ ჩვენ ხშირად სფეროს საზღვრებს ძალიან ვიწროდ განვსაზღვრავთ. სამართლიანი იქნებოდა დისერტაციის თემებისა და ფორმატების ფართო სპექტრის განხილვა ხდებოდეს. კონკრეტულად, პოლიტიკის მეცნიერებათა სფერო მიკერძოებულია თეორიის შექმნის და ტესტირების კვლევებისადმი, ვიდრე სხვა ტიპის კვლევებისადმი, როგორიცაა თეორიის მისადაგება პრობლემების გადაჭრისთვის და ისტორიასთან დაკავშირებულ კითხვებზე პასუხების გაცემა, ასევე არსებული ლიტერატურის აღრიცხვა. თუმცა, თეორიის შექმნა და ტესტირება არ არის ერთადერთი ფორმა ამ სფეროში. თეორიის მისადაგება წარსული და მიმდინარე პოლიტიკების შესაფასებლად და ისტორიული თავსატეხების ამოხსნა, ასევე ღირებული საქმეა. თუ ყველა ქმნის და ტესტავს თეორიას და არასდროს არავინ იყენებს მათ, მაშ რისთვის არიან თეორიები? თეორეტიზაცია აზრს მოკლებულია თუ ჩვენ არასდროს გამოვიყენებთ თეორიებს პრობლემების გადასაჭრელად. მიმოხილვითი სამუშაოს ღირებულებაც მეტად იზრდება, ფართოვდება რა სფეროს ლიტერატურა იმ წერტილამდე, როცა უკვე საკუთარი ძალებით აღარავის შეუძლია მისი მთლიანობიდან დასკვნების გამოტანა.

უფრო მეტიც, თეორიის-კეთება და თეორიის-ტესტირება შეიძლება მაღალი მოწოდება იყოს მკვლევარისთვის კარიერის დასაწყისში. გრანდ თეორეტიზაციას სჭირდება დრო, რომ ისწავლო, ხოლო თეორიის გამოყენება და მიმოხილვა შესალოა უფრო შესაფერისი გზა იყოს სტარტისთვის. თეორიის გამოყენება და მიმოხილვა ორივე საჭიროებს კარგ თეორიულ უნარებს და ორივე იძლევა ამ უნარის დემონსტრირების ფართო დიაპაზონს, სასტიკი მარცხის გაცილებით ნაკლები რისკით. მაშასადამე, ამ ჟანრის დისერტაციები უნდა იყოს აღიარებუ-

ლი, როგორც რესპექტაბელური სოციალურ მეცნიერებაში და განიხილებოდეს როგორც ალტერნატივა, როცა გრანდ თეორიული გამოსავალი რთულად მოსაძებნია.

თავი 3 ასევე ასახავს ჩემს შეხედულებას იმაზე, რომ პოლიტიკის მეცნიერებამ უნდა აღიაროს ისტორიის ახსნა როგორც მისი ერთ-ერთი მისია. ეს ამოცანა მარტო ისტორიკოსებს არ უნდა დარჩეთ. ბევრი ისტორიკოსი უფრთხის განზოგადებას, და მაშასადამე, უფრთხის ზოგადი თეორიის გამოყენებას. თუმცა, თეორიები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ისტორიის ახსნისთვის. ბევრი ეწინააღმდეგება პირდაპირ ახსნას და უპირატესობას ანიჭებს მიდგომას – „ფაქტები თავად მეტყველებენ." ბევრისთვის მიუღებელია დაწეროს შეფასებითი ისტორია, რომელიც განსჯის პოლიტიკებს და პოლიტიკის შემქმნელებს. პოლიტიკის მეცნიერებამ უნდა გადადგას ეს ნაბიჯი და შეავსოს ის ამხსნელობითი და შეფასებითი ვაკუუმი, რომელსაც ტოვებს ისტორიის მეცნიერების „კულტურული" თავისებურებები.

თავი 4 და 5 – „სასარგებლო მინიშნებები პოლიტიკის მეცნიერების დისერტაციის დასაწერად" და „დისერტაციის პროსპექტუსი," დაწურულად გადმოსცემს იმ პროფესიულ რჩევებს, რომლებიც წლების მანძილზე გამიცია სტუდენტებსა და კოლეგებზე და სხვებს მოუციათ ჩემთვის. ისინი ფოკუსირდებიან პრეზენტაციის საკითხებზე და აკადემიური სტრატეგიისა და ტაქტიკის ფართო საკითხებზე, მაშინ, როდესაც, ნაკლებ ყურადღებას აქცევენ კვლევის დიზაინს, რაც, როგორც წესი, მეტად მნიშვნელოვანი საკითხია. ნაწილობრივ, ეს რჩევები ასახავენ გამოცდილებას, რომელიც დამიგროვდა, როდესაც ვიყავი ჟურნალის „საერთაშორისო უსაფრთხოება" რედაქტორი და გამიმართავს უთვალავი დისკუსია წერაზე და პრეზენტაციაზე საერთაშორისო ურთიერთობების მკითხველებსა და ავტორებთან.

თავი 6 „პროფესიული ეთიკა" ცოტათი სცდება ვიწრო მეთოდოლოგიურ მოსაზრებებს, მაგრამ ის ეხება მეთოდოლოგიას ფართო გაგებით, სვამს რა შემდეგ კითხვას: როგორ უნდა ვიმუშაოთ ერთად, როგორც საზოგადოებამ? ეს თავი ასახავს ჩემს სენტიმენტებს იმის თაობაზე, რომ სოციალურ მეცნიერე-

ბებს სჭირდებათ ფორმალური დისკუსიები პროფესიული ეთიკის შესახებ. სოციალური მეცნიერება დიდწილად ოპერირებს სხვების მიმართ ანგარიშვალდებულების მიღმა. ინსტიტუციებსა და პროფესიებს, რომლებსაც ახასიათებთ სუსტი ანგარიშვალდებულება, სჭირდებათ შინაგანი ეთიკური საჭეები, რომლებიც განსაზღვრავენ მათ ვალდებულებებს, რათა შეინარჩუნონ კურსი. სხვაგვარად, ისინი მიდიან რისკზე, შედეგად, უცაბედად გადაუხვიონ პარაზიტული, უსარგებლო საქმიანობის სიბრტყეში. სოციალური მეცნიერება არ არის გამონაკლისი.

წიგნს ვურთავ დანართს, „როგორ დავწეროთ კვლევა," იმ მოსაზრებით, რომ მასწავლებლებმა შესაძლოა მიიჩნიონ ის კლასში დასარიგებელ სასარგებლო მასალად. ის თავს უყრის ჩემს რჩევებს ბაკალავრებისადმი თუ როგორ დაწერონ საკურსო. როგორი უნდა იყოს მოკლე საკურსო? ეს არის ჩემი რჩევები. მე მათ ყველა ჩემს კურსში გაცემულ წერით დავალებას ვურთავ.

აქ განხილულ ბევრ საკითხთან დაკავშირებით ჩემი განათლებისთვის მადლობას ვუხდი რობერტ არსენაუს, რომელთანაც ბევრი საკითხი განმიხილავს, როდესაც ის ასწავლიდა პოლიტიკის მეცნიერების კურსს (PS3) კალიფორნიის უნივერსიტეტში, ბერკლი. ამ თავებზე და ან ამ საკითხებზე კომენტირებისთვის ასევე მადლობას ვუხდი სტივ ანსოლაბიას, ბობ არტს, ენდი ბენეტს, ტომ ქრისთენსენს, ალექს ჯორჯს, ჩარლი გლასერს, ჩაიმ კოფმანს, პიტერ ლიბერმანს, ჯონ მირშაიმერს, ბილ როუზს, სკოტ სეიგანს, ჯეკ სნაიდერს, მარკ ტრახტენბერგს, სტივ ვოლტს, სენდი ვეინერსა და დეივიდ ვუდრაფს. მე ასევე მადლობას ვუხდი არაერთ მასწავლებელს, სტუდენტს და კოლეგას, რომლებსაც უკუგება მოუციათ ჩემს ნაშრომებზე წლების განმავლობაში. ჩემს მიერ აქ შემოთავაზებულიდან უმეტესობა მათ მიერ ოდესღაც ჩემთვის მოცემული და ჩემ მიერ გადამუშავებული რჩევებია.